

საერთაშორისო კომპანიების გამოწვევები ჩინეთში

ავტორი: ლაიით შატაიშვილი

მიმდინარე სერია სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში მიმოვიხილავთ ჩინეთის, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკის ბოლო წლების კრიზისს, საერთაშორისო კომპანიების გადინების ტენდენციებსა და მის განმაპირობებელ ფაქტორებს, რამაც შესაძლოა გლობალური დღის წესრიგის შეცვლა გამოიწვიოს. მომდევნო სტატიაში ვისაუბრებთ იმ ქვეყნების მცდელობების, შედეგებისა და პოტენციალის შესახებ, რომელთაც კრიზისი საკუთარი შესაძლებლობების გაზრდისათვის გამოიყენეს და ცდილობენ მსოფლიოს ალტერნატიულ ბაზრებად მოეწოდონ. ხოლო ბოლო ნაწილში, მიმოვიხილავთ საქართველოს პოტენციალს, შესაძლებლობებსა და გამოწვევებს, რომელთა ანალიზიც საერთაშორისო ინვესტიციების მოსაზიდად კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

ჩინეთის ინდუსტრიული კრიზისი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ბოლო რამდენიმე ათეული წელია მსოფლიოსათვის პროდუქციის მწარმოებელ ჰაბს და 14 ტრილიონ დოლარიანი მთლიანი შიდა პროდუქტით ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ მეორე ეკონომიკას წარმოადგენს. მსოფლიო ჩინურ წარმოებაზე, მათ შორის ნახევარტაბრიკატებსა და საწარმოო საშუალებებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, ხოლო წარწერა - „Made in China“ კი ყველა ქვეყნისათვის კარგად ნაცნობი იარლიყია. ამიტომ, გასაკვირიც არ არის, რომ ჩინეთი „მსოფლიო ქარხანადაც“ იწოდება.

ჩინეთის ასეთი წარმატება კი მრავალი ფაქტორის ერთობლიობის შედეგია. ჩინეთში არის კვალიფიციური სამუშაო ძალა, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ახალი ტექნოლოგიებისა და ეკო-მეგობრული წარმოების დანერგვის მიმართულებით, განვითარებულია სატრანსპორტო ქსელები და საწარმოო ინფრასტრუქტურა. ჩინეთს ასევე აქვს პროდუქციის დასამზადებლად საჭირო ნედლეულისა და ნახევარტაბრიკატების წარმოებისა და მიწოდების შესაძლებლობა. ამავდროულად, განვითარებულია მიწოდების ჯაჭვები და 1 400 მილიონი მომხმარებელით ის წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე დიდ შიდა ბაზარს.

ჩინეთში საწარმოო განვითარებისათვის ხელსაყრელი ბიზნეს გარემოა, მათ შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. მსოფლიო ბანკის კვლევის „Doing Business 2020“- ის მიხედვით, ჩინეთი მოხვდა იმ 10 ქვეყანას შორის, რომელთაც ბოლო პერიოდში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით შესამჩნევი ცვლილებები განიცადეს. ბოლო წლებში ჩინეთმა გაამარტივა ბიზნესის დაფუძნების ეტაპები, გაამკაცრა კომპანიების არასაკონტროლო პაკეტების მქონე ინვესტორთა დაცვის მექანიზმები, გაუმარტივა გადასახადების გადახდა მცირე ზომის საწარმოებს შეღავათიანი საგადასახადო განაკვეთების დაწესების გზით, გარკვეულ ინდუსტრიებს შეუმცირა დამატებითი ღირებულების გადასახადები, დანერგა და გააუმჯობესა ელექტრონული დეკლარირებისა და საგადასახადო სისტემები, გაამარტივა ექსპორტსა და იმპორტთან დაკავშირებული პროცესები, გააუმჯობესა სატარიფო პოლიტიკა, მნიშვნელოვანი რეფორმები

გაატარა საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით და სხვა.¹ თუმცა, ზემოთ აღნიშნული რეფორმების მიუხედავად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ბოლო პერიოდში

¹ „Doing Business 2020“, World Bank Group, (2020) ხელმისაწვდომია: <https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/32436/9781464814402.pdf> [წაბნობს: 25.07.2020]

მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. კერძოდ კი, ახალი ტიპის კორონავირუსის პანდემიის შემდეგ საერთაშორისო კომპანიების მხრიდან გააქტიურდა საუბარი ჩინეთის დატოვებისა და ალტერნატიული ბაზრების ძიების შესახებ. თუმცა, როგორც ქვემოთ განვიხილავთ, ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო და კორონავირუსის პანდემიის დაწყებამდეც კი საერთაშორისო კომპანიების მიერ ჩინეთის დატოვებას რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი განაპირობებდა: ჰაერის დაბინძურება, სამუშაო ძალის ანაზღაურების ზრდა და შრომისუნარიანი მოსახლეობის წილის შემცირება და ამერიკა - ჩინეთის სავაჭრო ომი.

ჰაერის დაბინძურება

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩინეთმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა და შენელებული ეკონომიკური ზრდის ტემპებიდან ანგარიშგასაწევ მწარმოებლურ ინდუსტრიულ ძალად იქცა, რომელიც დიდი რაოდენობის რესურსებსა და ენერჯიას მოიხმარს. აღნიშნულმა პროცესმა მილიონობით ჩინეთის მოქალაქე სიღარიბიდან გამოიყვანა, თუმცა მას თან ჰაერის და წყლის დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი მოჰყვა.

2017 წელს ჩინეთში დაბინძურების საწინააღმდეგო მოძრაობა გააქტიურდა, აღნიშნული კამპანიის მიზანი გამონახოლქვისა და მავნე ემისიების გამოყოფის შემცირება იყო.

ამერიკაში დაფუძნებული „ჯანმრთელობის ეფექტების ინსტიტუტის“ მონაცემების მიხედვით, 2015 წელს ჩინეთში, ჰაერის დაბინძურებას 1.1 მილიონი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.² ჩინეთის გარემოს დაცვის ბიურომ ქვეყნის მასშტაბით 30-ზე მეტ პროვინციაში ჩაატარა კომპანიათა მონიტორინგი, თუ რამდენად იცავდნენ ისინი გარემოსდაცვით რეგულაციებს. შედეგად, 80 000 - ზე მეტი კომპანია დაჯარიმდა ან სრულად დაიხურა. ამავე პერიოდში ინდუსტრიულ რეგიონებში მდებარე ბევრ საწარმოს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებამდე დროებით ფუნქციონირების შეჩერება მოუწია. მწარმოებელთა ნაწილს მოუხდა დანადგარების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, რაც დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული და თავის მხრივ გავლენა მოახდინა პროდუქციის საბოლოო ფასზე.³ გარდა საბოლოო მომხმარებლისა, ფასნამატის გამო ზიანი მიადგათ მინოდების ჯაჭვში ჩართულ კომპანიებსაც. გარემოსდაცვითი კამპანიის შედეგად ყველაზე მეტი ზიანი შემდეგ ინდუსტრიებს მიადგათ: ტექსტილი, ენერჯეტიკა, მძიმე მეტალები, სამთო მრეწველობა, ქვანახშირი და გაზი,

² “New Global Burden of Disease Study Finds Air Pollution the Leading Environmental Cause of Death Worldwide”, Health Effects Institute, (2017) ხელმისაწვდომია: <https://www.healtheffects.org/sites/default/files/State-of-Global-Air-Press-Release-February-14-2017.pdf> [წაწახია: 27.07.2020]

³ Donaldson Tara, “China Shuttters 80 000 Factories in Pollution Crackdown”, Sourcing Journal, (2017) ხელმისაწვდომია: <https://sourcingjournal.com/topics/compliance/china-pollution-crackdown-80000-factories-closed-73961/> [წაწახია: 27.07.2020]

ცემენტი, ქალაქის წარმოება, საავტომობილო სფერო და სამომხმარებლო საქონლის ინდუსტრია.

4

აღნიშნულმა პროცესმა მიწოდების ქსელების სათანადო ფუნქციონირებაზე უარყოფითი გავლენა იქონია. რადგან დაბინძურების პრობლემა დღის წესრიგში ახლაც დგას და არ არის გამოირიცხული მსგავსი ტიპის პერიოდული იძულებითი გაჩერებები მომავალშიც გაგრძელდეს, ბევრმა უცხოურმა კომპანიამ მიიღო საწარმოო საშუალებების სხვა ქვეყანაში გადატანის გადაწყვეტილება.⁵

სამუშაო ძალის ანაზღაურების ზრდა და პრომისუნარიანი მოსახლეობის წილის შემცირება

ქვეყნის საწარმოო პერსპექტივების, შესაძლებლობებსა და პოტენციალის მხრივ კვალიფიციურ და ბიუჯეტურ სამუშაო ძალას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საინვესტიციო თვალსაზრისითაც მუშახელის დაბალი გადასახადები ინვესტორებისათვის მიმზიდველია. ჩინეთი ამ მიმართულებითაც ფლობდა კონკურენტულ უპირატესობას, თუმცა 2018 წელს ამ მხრივ ქვეყანაში განსაკუთრებული პრობლემები შეიქმნა.

ბოლო ათწლეულების დროს დაფიქსირებულმა სწრაფმა ეკონომიკურმა განვითარებამ ჩინეთში მუშახელის ფასი გაზარდა. მხოლოდ 2006-2014 წლის პერიოდში, ანუ რვა წლის განმავლობაში, სამუშაო ძალის ფასი გასამმაგდა (იგულისხმება ანაზღაურება დოლარი/საათში).⁶ მიმდინარე პერიოდში სამუშაო ძალის ფასი ჩინეთში 5-ჯერ აღემატება ინდოეთის ანალოგიურ მაჩვენებელს. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩინეთი აღმოჩნდა კომპანიების დაკარგვის საფრთხის წინაშე, რაც თავის მხრივ მოსალოდნელია, რომ დასაქმების მაჩვენებელსაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა.⁷

⁴ Srinivas Raman, "China's Pollution Crackdown and its Impact on Business", China-Briefing, (2017) ხელმისაწვდომია: <https://www.china-briefing.com/news/chinas-pollution-crackdown-business-impacts/> [ნანახია: 27.07.2020]

⁵ თუმცა, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთი მსოფლიოს ყველაზე დიდ და მზინდურებელიდან ცდილობს გადაიქცეს კლიმატის გაუმჯობესებაზე ზრუნვის ერთ-ერთ ლიდერად და ამის მისაღწევად, ზრუნავს როგორც მაღალტექნოლოგიური და ეკო-მეგობრული საწარმოების შექმნაზე, ასევე აქტიურად მუშაობს ბიზნესთან მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად. აქ მოიაზრება, როგორც ჰაერის, ასევე წყლისა და ნიადაგის დაბინძურება. ამისათვის, ჩინეთი აქტიურად მუშაობს ნარჩენების მართვაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

Srinivas Raman, "China's Pollution Crackdown and its Impact on Business", China-Briefing, (2017) ხელმისაწვდომია: <https://www.china-briefing.com/news/chinas-pollution-crackdown-business-impacts/> [ნანახია: 28.07.2020]


⁶ "Labor Costs in China: Implications is Rising Wages", Intrepid Sourcing, ხელმისაწვდომია: <https://intrepidsourcing.com/trade-wiki/labor-costs-implications-of-rising-wages/> [ნანახია: 28.07.2020]

⁷ Yan Sofia, "Made in China is not so cheap anymore, and that could spell headache for Beijing", CNBC, (2017) ხელმისაწვდომია: <https://www.cnbc.com/2017/02/27/chinese-wages-rise-made-in-china-isnt-so-cheap-anymore.html> [ნანახია: 28.07.2020]

ამასთან ერთად, ჩინეთში განსაზღვრულია მინიმალური ხელფასის ოდენობა. ბოლო წლებში ჩინეთში ყოველთვიური მინიმალური სახელფასო განაკვეთი ზრდის ტენდენციებით ხასიათდება. 2018 წლის პირველი 11 თვის განმავლობაში 15-მა პროვინციამ მიიღო აღნიშნული მაჩვენებლის გაზრდის გადაწყვეტილება. ადგილობრივ ხელისუფლებებს ჩინეთის პროვინციებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში ევალებათ რამდენიმე წელში ერთხელ დააკორექტირონ მინიმალური ხელფასის მაჩვენებელი და მოარგონ არა მთლიანად ქვეყნის, არამედ საკუთარი რეგიონის ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. მაგალითად, პროვინციების დედაქალაქებსა და განვითარებულ ქალაქებში მინიმალური ხელფასის მაჩვენებელი მაღალია, ვიდრე სხვა პატარა და ნაკლებად განვითარებულ ქალაქებსა თუ დასახლებებში.⁸

ჩინეთის ეკონომიკა მასობრივი წარმოებიდან ეტაპობრივად ინოვაციურ და მაღალტექნოლოგიურ წარმოებაზე გადადის. საერთაშორისო ინვესტიციებით დაფუძნებულ საწარმოებში დასაქმებულები დადგენილ მინიმალურ ანაზღაურებაზე ბევრად მეტს გამოიმუშავენ. ეს ნიშნავს, რომ უცხოელი ინვესტორებისთვის ჩინეთში ბიზნესის წარმოება შესაძლოა აღარ აღმოჩნდეს ისეთი მომგებიანი, როგორც აქამდე.⁹

სამუშაო ძალის ანაზღაურების დინამიკა ჩინეთში, მექსიკაში და ვიეტნამში წლების მიხედვით (დოლარი/საათში)




წყარო: STATISTA.COM

⁸ Alexander Chipman Koty, Qian Zhou, "Are China's Labor costs growing too high after 2019 minimum wage hikes?", Global Payroll Association, (2019) ხელმისაწვდომია: <https://globalpayrollassociation.com/blogs/regional-focus-are-chinese-labour-costs-growing-too-high-after-latest-minimum-wage-hikes> [ნანახია: 29.07.2020]

⁹ თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: ინფრასტრუქტურა, პროდუქტიულობა, სატრანსპორტო ქსელები და დანახარჯები, უდიდესი შიდა მოხმარების ბაზარი და სხვა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩინეთი დანახარჯების ეფექტურობის მხრივ შესაძლოა სჯობდეს ისეთ ქვეყნებს, სადაც სამუშაო ძალის შედარებით დაბალი ანაზღაურებაა.

ჩინეთის რესპუბლიკის წინაშე მდგარი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო გამოწვევაა შრომისუნარიანი მოსახლეობის წილის შემცირება. შრომისუნარიანი მოსახლეობის ასაკი ჩინეთში 16-59 წლითაა განსაზღვრული. თუ 2011 წელს შრომისუნარიანი მოსახლეობა 925 მილიონს შეადგენდა, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 897 მილიონამდე შემცირდა, ხოლო 2050 წლისთვის 700 მილიონ ადამიანამდე შემცირებაა ნავარაუდები.¹⁰ წლების განმავლობაში ამას თან ერთვოდა შობადობის დაბალი მაჩვენებელი. 2015 წელს ჩინეთმა ოფიციალურად გამოაცხადა 35 წლიანი „ერთი შვილის პოლიტიკის“ დასრულება, რომელიც წყვილებს ერთ შვილზე მეტის ყოლას უკრძალავდა. თუმცა, ამ პოლიტიკის დასრულებასაც ჯერჯერობით მოსახლეობისთვის ხელშესახები შედეგი არ მოუტანია. 2019 წლის მონაცემებით ჩინეთში შობადობის კოეფიციენტმა 1000 ადამიანზე 10.48% შეადგინა, რაც 1949 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.¹¹



წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

ქვეყანაში ახალგაზრდა ადამიანების ნაკლებობა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს და ამცირებს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მიმართ მოტივაციას. ეს კი თავის მხრივ ნიშნავს ნაკლებ მუშახელს, რამაც შესაძლოა მომავალში მსოფლიოს მეორე ეკონომიკა

¹⁰ “China’s working-age population will fall by 23% by 2050”, World Economic Forum, (2016) ხელმისაწვდომია: <https://www.weforum.org/agenda/2016/07/china-working-ageing-population/> [ნანახია: 30.07.2020]

¹¹ „Chinese birth rate falls to lowest in seven decades“, BBC News, (2020) ხელმისაწვდომია: <https://www.bbc.com/news/world-asia-china-51145251> [ნანახია: 30.07.2020]

ხელშესახები პრობლემების წინაშე დააყენოს. ამასთან ერთად, ეს ყველაფერი აისახება ქვეყნის ბიზნეს და საინვესტიციო გარემოზე და მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს შიდა მოხმარებას.

აქედან გამომდინარე, არსებული მოცემულობის გაგრძელების შემთხვევაში ექსპერტები ჩინეთის ეკონომიკური ზრდის შენელებას პროგნოზირებენ. გარდა ამისა, ქვეყანაში ასაკოვანი მოსახლეობის ზრდა გამოიწვევს უფრო დიდი რაოდენობის საბიუჯეტო სახსრების მიმართვას პენსიებისა და ჯანმრთელობის დაზღვევისაკენ, რამაც შესაძლოა სხვა პრიორიტეტული მიმართულებებისთვის თანხების შემცირება გამოიწვიოს. ეს კი ჩინეთს კონკურენტებთან შედარებით არასახარბიელო სიტუაციაში ჩააყენებს.

ამერიკა - ჩინეთის სავაჭრო ომი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სავაჭრო ომი ჯერ კიდევ 2018 წელს დაიწყო, როდესაც ამერიკამ ჩინეთიდან 60 მილიარდი დოლარის ღირებულების საქონელს ტარიფები დაუწესა. საპასუხოდ, ჩინეთმა ამერიკიდან იმპორტირებულ 128 დასახელების პროდუქტს საგადასახადო განაკვეთები გაუზარდა. 2019 წლის მაისში ამერიკამ 200 მილიარდი დოლარის ღირებულების პროდუქტზე ტარიფი 10%-დან 25%-მდე გაზარდა, რასაც ჩინეთის მხრიდან საპასუხო ზომები მოჰყვა და დამატებით 60 მილიარდი დოლარის პროდუქტზე დააწესა ტარიფები. 2018 წლიდან მოყოლებული ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჯამში 550 მილიარდი ღირებულების ჩინურ საქონელზე დააწესა დამატებითი გადასახადები, ხოლო ჩინეთის მხრიდან ამერიკულ პროდუქტზე დაწესებულმა ტარიფებმა ჯამში 185 მილიარდი დოლარი შეადგინა.¹²

ორმხრივმა სავაჭრო ომმა რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა არა მხოლოდ ჩართულ ქვეყნებს, არამედ მსოფლიო ეკონომიკას. თუმცა ამ შემთხვევაში ყურადღება გავამახვილოთ თუ რა ზიანი მოუტანა მან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

- **ტარიფების ზრდა იწვევს სავაჭრო ომის დასაწყისს, რაც უმჯობესი მოთხოვნის კლებაზე და იმპორტის შემცირებაში იწვევს;**

¹² Dorcas Wong, Alexander Chipman Koty, "The US-China Trade War: A Timeline", China-Briefing, (2020) ხელმისაწვდომია: <https://www.china-briefing.com/news/the-us-china-trade-war-a-timeline/> [ნანახია: 03.08.2020]

- მიმდინარე წელიწადში ჩინეთში მოქმედებდა 100-ზე მეტი კომპანია, რაც გამოიწვია როგორც მოგზაობის მარშრუტების შეცვლა, ასევე სხვა დამატებითი სავაჭრო და სტატისტიკური ბარიერების შექმნა;
- გაუზარდა ჩინეთის ეროვნული ვალუტა, რამაც დამატებითი რისკები და გამოწვევები წარმოშვა;
- ჩინეთის 14 ტერიტორიული ერთეულის 550 მილიარდი ლირაზე უფრო მეტი პროდუქტზე ტარიფების დაწესება მთლიან შიდა პროდუქტის დაახლოებით 0.4 %-იან შემცირებას ნიშნავს, ხოლო 25%-იანი სტატისტიკური მაჩვენებლის შემთხვევაში პროცენტული მაჩვენებელი 0.6%-მდე აიწივს;¹³
- როდესაც კონკრეტულ ქვეყნებს შორის მიმდინარეობს სტატისტიკური ომები, ამ დროს იწყება შემცველი ბაზრების ქიზა. ამერიკის მხრიდან ჩინეთისთვის გაზრდილი ტარიფების შემდეგ გამოჩნდნენ საქონლის ალტერნატიული მიმწოდებელი ქვეყნები. ეს კი ნიშნავს ჩინეთზე დამოკიდებულების შემცირებას და მიწოდების ჯაჭვების დივერსიფიკაციას, რაც შტატებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს.

2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით: ¹⁴

- ტაივანმა ამერიკაში - 4.2 მილიარდი დოლარით გაზარდა ექსპორტი;
- მექსიკამ - 3.5 მილიარდი დოლარით;
- ევროკავშირმა - 2.7 მილიარდი დოლარით;
- ვიეტნამმა - 2.6 მილიარდი დოლარით;
- სავაჭრო სარგებელი გაზარდეს კორეამ, კანადამ და ინდონეზიამ, რაც დაახლოებით 0.9-დან 1.5 მილიარდ დოლარამდე მერყეობს.

დაძაბულობა და სტატისტიკური ბრძოლა ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებში დამაბნელებელია, რასაც პირდაპირ თუ ირიბად მოყვება უარყოფითი შედეგები: შემცირებული ვაჭრობა, გაზრდილი სამომხმარებლო ტარიფები, შემცირებული კორპორაციული შემოსავლები, დაკარგული გლობალური სავაჭრო პოზიციები, დაკლებული საექსპორტო მაჩვენებელი და ა.შ. ჩინეთის მხრიდან ექსპორტის შემცირება ცალსახად აისახება ქვეყანაში ოპერირებად კომპანიებზე, რომელთათვისაც ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მიმდინარე ნეგატიური პროცესები კი რა თქმა უნდა უბიძგებს კომპანიებს ეძებონ ალტერნატიული ქვეყნები სანარმოლო

¹³ Erik Norland, "Trade war costs to consumers, companies and nations", *Financial Times*, ხელმისაწვდომია: <https://www.ft.com/brandsuite/cme-group/trade-war-costs-consumers-companies-nations/index.html> \ [წახიზი: 03.08.2020]

¹⁴ Alessandro Nicita, "Trade and trade diversion effects of United States Tariffs on China", *UNCTAD Research Paper No. 37 UNCTAD/SER.RP/2019/9*, (2019) ხელმისაწვდომია: https://unctad.org/en/PublicationsLibrary/ser-rp-2019d9_en.pdf [წახიზი: 03.08.2020]

მიზნებისათვის, შედარებით სტაბილური, უსაფრთხო პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოთი, მრავალფეროვანი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებებით და ა.შ.¹⁵

COVID-19 ის პანდემია

ახალი ტიპის კორონავირუსის პანდემიამ მსოფლიოს მეორე ეკონომიკას კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა. პანდემიის შედეგად ქვეყნების საზღვრების ჩაკეტვამ მსოფლიოს კიდევ ერთხელ ნათლად დაანახა თუ რამდენადაა დამოკიდებული ჩინურ წარმოებასა და მიწოდების ჯაჭვებზე და რაოდენ დიდ როლს თამაშობს ჩინეთი გლობალურად პროდუქციის მიწოდებაში. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი კომპანიები უდიდესი რისკებისა და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ და პანდემიას სრულიად მოუმზადებლები შეხვდნენ. ცხადია, რომ ექსტრემალურ სიტუაციებსა და მოთხოვნის ზრდის პირობებში მიწოდების ალტერნატიული არხების მოძიება და მოლაპარაკებების წარმოება საკმაოდ რთული გამოწვევაა. კომპანიების ნაწილმა გამოწვევას წარმატებით გაართვა თავი და მოიძია შემცველი მიწოდების ბაზრები, რომლის შენარჩუნებასაც კრიზისის შემდგომ პერიოდშიც ეცდება. ჩინეთის შემთხვევაში კი ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე კომპანიები უფრო დიდი რისკების წინაშე აღმოჩნდნენ.

ექსპერტები თანხმდებიან, რომ კომპანიების მხრიდან ახალი მიწოდების ბაზრების აღმოჩენის მიუხედავად, მათი დამოკიდებულება ჩინეთზე იქნება საკმაოდ მაღალი. ამას განაპირობებს ქვეყანაში კვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა, სათანადო სანარმოო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, პროდუქტის დასამზადებლად საჭირო ნედლეული, ნახევარფაბრიკატები, გაუმჯობესებული და დინამიური ბიზნეს ეკო-სისტემა და სხვა.

ჩინეთს გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 20% უჭირავს, რაც ნამდვილად შთამბეჭდავი მაჩვენებელია და მის კონკურენტულ უპირატესობას უსვამს ხაზს. გარდა ამისა, უხეში დათვლებით მსოფლიოს ხუთი კომპანიიდან ოთხი უმეტესად ჩინეთზეა დამოკიდებული. მას აქვს ყველაზე დიდი შიდა მოხმარების ბაზარი. ამასთან ერთად, ჩინელი ტურისტი ითვლება ყველაზე მხარჯველ ვიზიტორად. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით, წლის განმავლობაში ჩინელი ტურისტები საზღვარგარეთ დაახლოებით 258 მილიარდ დოლარს ხარჯავენ, რაც

¹⁵ თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიების გასვლა ქვეყნიდან სულაც არ არის მარტივი პროცესი და მათ უდიდესი რისკების წინაშე აყენებს. ამ შემთხვევაში უდიდეს როლს ასრულებს სატრანსპორტო ქსელები, მიწოდების ჯაჭვები, ადგილმდებარეობა და ხელმისაწვდომობა, შიდა მოხმარება, სამუშაო ძალა, ტექნოლოგიები, ინფრასტრუქტურა და სხვა.

დაახლოებით 2-ჯერ აღემატება ამერიკელი ტურისტების მიერ დახარჯული თანხების რაოდენობას.¹⁶ აქედან გამომდინარე, ჩინეთის ეკონომიკური კრიზისი პირდაპირ ასახვას ჰპოვებს მთელი მსოფლიოს შემოსავლებსა თუ მიწოდების ჯაჭვებზე.

ბოლო წლებში ჩინეთში განვითარებულმა მოვლენებმა მსოფლიო ეკონომიკას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა. მიმდინარე პროცესები მკაფიოდ აისახა კომპანიების შემოსავლებზე, სამომხმარებლო ფასების ზრდაზე, დასაქმებაზე, საერთაშორისო ვაჭრობასა და მიწოდების ქსელებზე. მსოფლიოს კომპანიებმა, ნებისმიერ ქვეყანაში დაინახეს მომწოდებელთა დივერსიფიკაციის აუცილებლობა. თავად ქვეყნებმა კი ჩინეთში მიმდინარე უარყოფითი მოვლენები საკუთარი საბაზრო და საერთაშორისო შესაძლებლობების ზრდისთვის გამოიყენეს და ცდილობენ, რომ მსოფლიოს საკუთარი თავი ალტერნატიულ ბაზრებად შესთავაზონ.

ექვს გარეშეა, რომ უცხოური კომპანიების გასვლა ჩინეთისთვის მძიმე დარტყმა იქნება, თუმცა ეს არც ისეთი მარტივი პროცესია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ჩინეთში ოპერირებადი კომპანიები იცნობენ საკანონმდებლო ბაზას და აქვთ ადგილობრივ პარტნიორებთან მუშაობის გამოცდილება, სხვა ქვეყანაში ამ ეტაპამდე მისვლა დამატებით დროსა და ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ჩინეთის მნიშვნელოვანი უპირატესობაა მსოფლიოში უდიდესი შიდა ბაზარი, წარმოების გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა, ტექნოლოგიური პროგრესი და კვალიფიციური მუშა ხელი, რომლის ალტერნატივის ძებნაც საკმაოდ რთულია. გარდა ამისა, საწარმოების გატანა სხვა ქვეყნებში კოლოსალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამასთან ერთად, სხვა ქვეყანაში ოპერირების გასაგრძელებლად გასათვალისწინებელია - ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზა და რეგულაციები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის უფლებები, ლოჯისტიკა, კულტურული ბარიერები, მომხმარებელთა ქცევა, ენობრივი ბარიერები, ეროვნული ვალუტა, ქვეყნის საერთაშორისო პოლიტიკა და სავაჭრო შეთანხმებები, ბაზრის კვლევა და სხვა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის დატოვება კომპანიისათვის არ არის მარტივი პროცესი და ბევრ შესაძლო რისკთანაა დაკავშირებული. ამასთან ერთად პროცესი გრძელვადიანია და წინასწარი პროგნოზების გაკეთება საკმაოდ რთულია.

ამის მიუხედავად, არაერთი ქვეყანა ცდილობს მსოფლიოს ჩინური ბაზრის ალტერნატივად მოველინოს და წამყვანი საერთაშორისო კომპანიები მიიზიდოს, რისთვისაც ისინი ყველა შესაძლებლობასა და პლატფორმას იყენებენ. ამ ქვეყნების მცდელობებისა და ამ კუთხით მათ მიერ მიღწეული წარმატების შესახებ კი ამ სერიის მეორე სტატიაში ვისაუბრებთ.

¹⁶ Alexandra Stevenson, "Coronavirus Outbreak Tests World's Dependence on China", "The New York Times", (2020)
ბელმისაწვდომია: https://www.nytimes.com/2020/01/29/business/china-coronavirus-economy.html?fbclid=IwAR3AE5uZduQq6_SKdKLWYBWAy3TGU2Cqf-M9FPQVVGA239wYnSzVT_p1wYQ [წახსოვ: 04.08.2020]

გამოყენებული ლიტერატურა

1. „DOING BUSINESS 2020“, WORLD BANK GROUP, (2020) ხელმისაწვდომი: [HTTPS://OPENKNOWLEDGE.WORLDBANK.ORG/BITSTREAM/HANDLE/10986/32436/9781464814402.PDF](https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/32436/9781464814402.pdf)
2. NEW GLOBAL BURDEN OF DISEASE STUDY FINDS AIR POLLUTION THE LEADING ENVIRONMENTAL CAUSE OF DEATH WORLDWIDE“, HEALTH EFFECTS INSTITUTE, (2017) ხელმისაწვდომი: [HTTPS://WWW.HEALTHEFFECTS.ORG/SITES/DEFAULT/FILES/STATE-OF-GLOBAL-AIR-PRESS-RELEASE-FEBRUARY-14-2017.PDF](https://www.healtheffects.org/sites/default/files/state-of-global-air-press-release-february-14-2017.pdf)
3. DONALDSON TARA, “CHINA SHUTTERS 80 000 FACTORIES IN POLLUTION CRACKDOWN“, SOURCING JOURNAL, (2017) ხელმისაწვდომი: [HTTPS://SOURCINGJOURNAL.COM/TOPICS/COMPLIANCE/CHINA-POLLUTION-CRACKDOWN-80000-FACTORIES-CLOSED-73961/](https://sourcingjournal.com/topics/compliance/china-pollution-crackdown-80000-factories-closed-73961/)
4. SRINIVAS RAMAN, “CHINA’S POLLUTION CRACKDOWN AND ITS IMPACT ON BUSINESS“, CHINA-BRIEFING, (2017) ხელმისაწვდომი: [HTTPS://WWW.CHINA-BRIEFING.COM/NEWS/CHINAS-POLLUTION-CRACKDOWN-BUSINESS-IMPACTS/](https://www.china-briefing.com/news/chinas-pollution-crackdown-business-impacts/)
5. LABOR COSTS IN CHINA: IMPLICATIONS IS RISING WAGES“, INTREPID SOURCING, ხელმისაწვდომი: [HTTPS://INTREPIDSORCING.COM/TRADE-WIKI/LABOR-COSTS-IMPLICATIONS-OF-RISING-WAGES/](https://intrepsourcing.com/trade-wiki/labor-costs-implications-of-rising-wages/)
6. SOFIA YAN, “MADE IN CHINA IS NOT SO CHEAP ANYMORE, AND THAT COULD SPELL HEADACHE FOR BEIJING“, CNBC, (2017) ხელმისაწვდომი: [HTTPS://WWW.CNBC.COM/2017/02/27/CHINESE-WAGES-RISE-MADE-IN-CHINA-ISNT-SO-CHEAP-ANYMORE.HTML](https://www.cnbc.com/2017/02/27/chinese-wages-rise-made-in-china-isnt-so-cheap-anymore.html)
7. ALEXANDER CHIPMAN KOTY, QIAN ZHOU, “ARE CHINA’S LABOR COSTS GROWING TOO HIGH AFTER 2019 MINIMUM WAGE HIKES?“, GLOBAL PAYROLL ASSOCIATION, (2019) ხელმისაწვდომი: [HTTPS://GLOBALPAYROLLASSOCIATION.COM/BLOGS/REGIONAL-FOCUS/ARE-CHINESE-LABOUR-COSTS-GROWING-TOO-HIGH-AFTER-LATEST-MINIMUM-WAGE-HIKES](https://globalpayrollassociation.com/blogs/regional-focus/are-chinese-labour-costs-growing-too-high-after-latest-minimum-wage-hikes)
8. CHINA’S WORKING-AGE POPULATION WILL FALL BY 23% BY 2050“, WORLD ECONOMIC FORUM, (2016) ხელმისაწვდომი: [HTTPS://WWW.WEFORUM.ORG/AGENDA/2016/07/CHINA-WORKING-AGEING-POPULATION/](https://www.weforum.org/agenda/2016/07/china-working-ageing-population/)
9. „CHINESE BIRTH RATE FALLS TO LOWEST IN SEVEN DECADES“, BBC NEWS, (2020) ხელმისაწვდომი: [HTTPS://WWW.BBC.COM/NEWS/WORLD-ASIA-CHINA-51145251](https://www.bbc.com/news/world-asia-china-51145251)
10. DORCAS WONG, ALEXANDER CHIPMAN KOTY, “THE US-CHINA TRADE WAR: A TIMELINE“, CHINA-BRIEFING, (2020) ხელმისაწვდომი: [HTTPS://WWW.CHINA-BRIEFING.COM/NEWS/THE-US-CHINA-TRADE-WAR-A-TIMELINE/](https://www.china-briefing.com/news/the-us-china-trade-war-a-timeline/)
11. ERIK NORLAND, “TRADE WAR COSTS TO CONSUMERS, COMPANIES AND NATIONS“, FINANCIAL TIMES, ხელმისაწვდომი: [HTTPS://WWW.FT.COM/BRANDSUITE/CME-GROUP/TRADE-WAR-COSTS-CONSUMERS-COMPANIES-NATIONS/INDEX.HTML](https://www.ft.com/brandsuite/cme-group/trade-war-costs-consumers-companies-nations/index.html)
12. ALESSANDRO NICITA, “TRADE AND TRADE DIVERSION EFFECTS OF UNITED STATES TARIFFS ON CHINA“, UNCTAD RESEARCH PAPER NO. 37 UNCTAD/SER.RP/2019/9, (2019) ხელმისაწვდომი: [HTTPS://UNCTAD.ORG/EN/PUBLICATIONSLIBRARY/SER-RP-201909_EN.PDF](https://unctad.org/en/publicationslibrary/ser-rp-201909_en.pdf)
13. ALEXANDRA STEVENSON, “CORONAVIRUS OUTBREAK TESTS WORLD’S DEPENDENCE ON CHINA“, “THE NEW YORK TIMES“, (2020) ხელმისაწვდომი: [HTTPS://WWW.NYTIMES.COM/2020/01/29/BUSINESS/CHINA-CORONAVIRUS-ECONOMY.HTML?FBCLID=IWAR3AE5UZDUQ6_SKDKLWYBWAY3TGUCQF-M9FPQVGA239WYNSZVT_P1WYQ](https://www.nytimes.com/2020/01/29/business/china-coronavirus-economy.html?fbclid=IwAR3AE5UZDUQ6_SKDKLWYBWAY3TGUCQF-M9FPQVGA239WYNSZVT_P1WYQ)